## მოწყობილობის დანიშნულება

ღუმელი განკუთვნილია საკვები პროდუქტებისა და კერძების მოსამზადებლად, ასევე მათ გასაცხელებლად.

## უსაფრთხოების ზომები

- მოწყობილობის გამოყენებამდე ყურადღებით წაიკითხეთ მოცემული სახელმძღვანელო და შეინახეთ იგი შემდგომი გამოყენებისთვის.
- კვების წყაროსთან დაკავშირებამდე დარწმუნდით, რომ თქვენი სახლის ელექტროქსელის პარამეტრები შეესაბამება მის ტექნიკურ მახასიათებლებს.
- ელექტროშოკისა და ტრავმების თავიდან ასაცილებლად, არ მოათავსოთ მოწყობილობა, კვების კაბელი ან ელექტროჩანგალი წყალში ან სხვა სითხეში.
- დაამონტაჟეთ მოწყობილობა კარგად განიავებად შენობაში საკმარისი ვენტილაციით.
- მოკლე ჩართვის თავიდან ასაცილებლად, არ დაუშვათ მოწყობილობის კონტაქტი ნებისმიერ სითხესთან, ნუ განათავსებთ მის გვერდით სითხით სავსე ღია ჭურჭელს.
- გაუმართაობის შემთხვევაში, აგრეთვე კაბელის ან ელ. ჩანგლის დაზიანებისას, დაუყოვნებლივ გამორთეთ მოწყობილობა ელექტროქსელიდან. მიმართეთ ავტორიზებულ სერვის-ცენტრს.
- არ დაქაჩოთ და არ გადააადგილოთ მოწყობილობა კაბელით. არ მოხაროთ და არ დაახვიოთ კაბელი მოწყობილობის გარშემო. ასევე არ დაუშვათ კვების კაბელის გადაკიდება მაგიდის კიდეზე, მისი შეხება ცხელ ზედაპირებთან ან ბასრ კუთხეებთან.
- ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან, თუ მას არ იყენებთ, ასევე გაწმენდის, აწყობისა და დაშლის წინ.
- ყოველთვის გამორთეთ თავად მოწყობილობა ქსელიდან მის გამოსართავად. მოწყობილობა ქსელიდან გამორთეთ იზოლირებული ელ. ჩანგლის მეშვეობით, ნუ დაქაჩავთ კაბელს.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გარეთ.
- ხანძრის რისკის თავიდან ასაცილებლად, ნუ განათავსებთ მოწყობილობას ადვილად აალებადი სითხეების, მასალებისა და საგნების (მაგალითად, ფარდების) უშუალო სიახლოვეს.
- მოწყობილობის მონტაჟი განახორციელეთ მხოლოდ მოცემულ სახელმძღვანელოში აღწერილი წესების შესაბამისად.
- მოწყობილობის მონტაჟი და დამიწება უნდა შესრულდეს კვალიფიციური სპეციალისტების მიერ. არასწორმა მონტაჟმა ან დამიწებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას მომხმარებლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას.
- არ დატოვოთ ჩართული მოწყობილობა უმეთვალყურეოდ. მოსამზადებელი საკვების ზედმეტმა გახურებამ შესაძლოა გამოიწვიოს დაკვამლიანება და/ან აალება. ხანძრის შემთხვევაში არ ჩააქროთ ცეცხლი წყლით. გამორთეთ მოწყობილობა ქსელიდან და შემდეგ დააფარეთ ალს ცეცხლმაქრი გადასაფარებელი.
- ეს მოწყობილობა პასუხობს ელექტრომაგნიტური უსაფრთხოების ყველა სტანდარტს. მიუხედავად ამისა, თუ სარგებლობთ კარდიოსტიმულატორით ან სხვა ელექტრონული იმპლანტებით (ინსულინის ტუმბო და სხვ.), დამატებითი კონსულტაცია გაიარეთ თქვენს მკურნალ ექიმთან.
- მუშაობის დროს მოწყობილობის ზედაპირის ზოგიერთი ნაწილი შესაძლოა ძლიერად გაცხელდეს. დარწმუნდით, რომ მოწყობილობასთან მუშაობისას თქვენი ტანსაცმელი, თმა

ან სხეულის ღია ნაწილები არ ეხება ცხელ ზედაპირს. ფრთხილად გააღეთ კარი, რადგან სამუშაო კამერიდან გამოსულმა ცხელმა ორთქლმა შესაძლოა გამოიწვიოს დამწვრობა.

- დამწვრობის თავიდან ასაცილებლად, მუშაობის დროს ნუ შეეხებით მოწყობილობის შიდა ნაწილებს. სამუშაო კამერიდან ცხელი აქსესუარების ან ჭურჭლის გამოსაღებად გამოიყენეთ დამჭერები (ხელთათმანები).
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი ბავშვებისათვის, აგრეთვე შეზღუდული ფიზიკური, სენსორული ან გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირთათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც მათზე ხორციელდება კონტროლი მათ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების მიერ. არ მისცეთ ბავშვებს მოწყობილობით თამაშის უფლება.
- არ გამოიყენოთ მოწყობილობა შენობის გასათბობად.
- მუშაობის დასრულების შემდეგ ყოველთვის გამორთეთ მოწყობილობა.
- ელექტროშოკის თავიდან ასაცილებლად, არ დაშალოთ მოწყობილობა დამოუკიდებლად. მოცემული მოწყობილობა არ შეიცავს ელემენტებს, რომელთა მომსახურებაც შესაძლებელია მომხმარებლის მიერ. მომსახურება და რემონტი უნდა ჩატარდეს მხოლოდ ავტორიზებული სერვის-ცენტრის კვალიფიციური სპეციალისტების მიერ.
- მოწყობილობის გასაწმენდად არ გამოიყენოთ ლითონის ჯაგრისები და/ან აბრაზიული საწმენდი საშუალებები.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი გარე ტაიმერით ან დისტანციური მართვის ცალკეული სისტემით სამართავად.
- არ არის რეკომენდებული ისეთი კერძების მომზადება, რომლებშიც გამოიყენება მაღალი ალკოჰოლის შემცველი სასმელები. სამუშაო კამერაში სპირტის ორთქლი შესაძლოა აალდეს. დაამატეთ კერძებში მხოლოდ მცირე რაოდენობის ალკოჰოლი და ფრთხილად გააღეთ კარი.
- აკრძალულია წყლის ჩასხმა ცხელ სამუშაო კამერაში. ამან შესაძლოა გამოიწვიოს ცხელი ორთქლის წარმოქმნა. ტემპერატურის ცვლილების შედეგად შესაძლოა დაზიანდეს სამუშაო კამერის საფარი.
- ნუ დაჯდებით და ნუ დადგებით ღუმელის ღია კარზე. ნუ განათავსებთ ჭურჭელსა და აქსესუარებს ღუმელის კარზე.
- ნუ გადააადგილებთ მოწყობილობას კარის სახელურზე მოკიდებით.
- მოწყობილობა არ არის განკუთვნილი კომერციული მიზნებისთვის გამოსაყენებლად.
- გამოიყენეთ მოწყობილობა მხოლოდ დანიშნულებისამებრ.